სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	94	100

ხელმოწერა

თარიღი 17.09.2024წ.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (სულ 18) მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა ზურაბ ძლიერიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:
კანდიდატი არის 51 წლის. განათლება: აქვს უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ, 1996 წელი) არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ, 1999 წელი)
სპეციალობით მუშაობს 27 წელზე მეტი, კერძოდ;
1998-2006 წლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
2001-2006 წლები, საქართველოს უზენაესი სასამართლო - სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
2001-2003 წლები, ასევე 2014 წელი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო - საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
2005-2006 წლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
2003-2007 წლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - კონსტიტუციურ სარჩელებზე მოწვეული სპეციალისტი;

2006-2008 წლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - მოწვეული ექსპერტი;
2006-2008 წლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი;
2009 წლის დეკემბრიდან - 2014 წლის ოქტომბრამდე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - ეთიკის კომისიის წევრი;
2009 -2014 წლები, თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი - არბიტრი;
2012-2014 წლები, კომპანიების გადახდისუუნარობის საქმეებზე მომრიგებელი საბჭოს სასამართლოს მიერ დანიშნული წევრი;
2013-2014 წლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - საგანმანათლებლო საბჭოს წევრი.
მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 9 წელი და 10 თვე
2014 წლის 17 ოქტომბრიდან - დღემდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - მოსამართლე;
2014 წლის 29 ოქტომბრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატისა და დიდი პალატის წევრი;
2015 წლის 7 მარტიდან - 2017 წლის 8 მარტამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე;
2020 წლის 4 სექტემბრიდან - 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე;
2019 წლის 18 აპრილიდან - 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო - სადისციპლინო პალატის წევრი.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კვალიფიციურობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან, განხილული საქმეების რაოდენობასთან, პედაგოგიურ საქმიანობასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან, მოსამართლედ განწესებასთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით.

არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი და არც საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ორი ბინა, თბილისში, 35 კვ.მ და 44 კვ.მ.; სარდაფი, თბილისში, 13.6 კვ.მ; მიწის ნაკვეთი 7560 კვ.მ დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მჭადიჯვარი; მიწის ნაკვეთი (33%) 1252 კვ.მ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მჭადიჯვარი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო 3 წლის განმავლობაში კანდიდატი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მის მიმართ, ბოლო სამი წლის მანძილზე, სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილი საჯარიმო ქვითარი არ ფიქსირდება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საბიუო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.
მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით მოსამართლე ზურაბ ძლიერიშვილს საქმის განხილვის საპროცესო ვადის დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა 98,6%, ვადის დარღვევით - 1,4%; გადაწყვეტილებები მომზადებული აქვს 100% ვადის დაცვით. მოსამართლეს 984 დღეში დასრულებული აქვს 402 საქმე (დღეში საშუალოდ 0,5 საქმე).

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე განჩინებები:
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-898-848-2015, 9 მარტი 2016 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-559-2019, 4 დეკემბერი 2019 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-372-2023, 6 ოქტომბერი 2023 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-483-2023, 18 ოქტომბერი 2023 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-907-2023, 10 ოქტომბერი 2023 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-359-2023, 13 ოქტომბერი 2023 წელი;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-1392-2023, 25 იანვარი 2024 წელი.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო ღონისძიებაში:
სემინარი სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, წინანდალი, დეკემბერი 2023 წელი;

სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs", Universität Des Saarlands, Saarbrüken, Germany - 25-26 October, 2023 წელი, მომხსენებელი/მონაწილე, „Materialler Schadenersatz bai Verkehrunfällen" (სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები);
საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის", თსუ/ალტე უნივერსიტეტი, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (CoLE), 3 ოქტომბერი, 2023 წელი;
ფორუმი თემაზე: „გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ბენჩბუქის" მომზადება" USAID/PROLoG, კაჭრეთი, საქართველო, 15-17 სექტემბერი, 2023 წელი;
სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ლოპოტა, ივნისი, 2023 წელი და სხვა.

კანდიდატი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:
2012 წლიდან - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი პროფესორი (აფილირებული პროფესორი 2018 წლიდან, კერძო სამართლის მიმართულება), სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
2017 წლიდან - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი;
2012 წლიდან - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება), სადისერტაციო საბჭოს წევრი;
2014 წლიდან - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოწვეული ლექტორი, სასწავლო კურსი: სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმეთა განხილვის თავისებურებანი;
2010 -2017 წლები, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი, მოწვეული პროფესორი;
2008 -2018 წლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, მოწვეული პროფესორი;
2012-2022 წლები, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი;
2014-2018 წლები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი (კერძო სამართლის მიმართულება);
2007-2016 წლები, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი;
2013-2017 წლები, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი;
2006-2017 წლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი;
2008-2017 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, მოწვეული პროფესორი;
2005-2008 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საპროფესოროს ხელმძღვანელი;

1999-2005 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, დოცენტი, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე;
2001- 2003 წლები, მოსამართლეთა სასწავლო ცენტრი, მოწვეული ლექტორი;
1997-1999 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

არის სხვადასხვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზენტი/ოპონენტი. ასევე, არის არაერთი სამეცნიერო სტატიის/მონოგრაფიის/წიგნის ავტორი/ თანაავტორი:
სტატია - გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას პროფ. ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წელი, გვ.104-115. www.press.tsu.edu.ge;
სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II ნაწილი წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2023 წელი, 704 გვ. Meridian 777@ gmail.com;
სტატია - ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით პროფ. ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წელი, საიუბილეო კრებული გვ.345-358. www.press.tsu.edu.ge;
მონოგრაფია - დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრატიკა) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2022 წელი, 405 გვერდი. Meridian 777@ gmail.com;
სტატია - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 6/2022, გვ.1-19. www.lawjournal.ge;
სტატია - ჩუქების უკუქცევა შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 7/2022, გვ.28-50. www.lawjournal.ge;
სტატია - გაცვლის ხელშეკრულება ქართულ სამართალში შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 8/2022, გვ.1-11. www.lawjournal.ge;
Zurab Dzlierishvili Termination of Oblligation by Deposit Journal of Law #2(2021) Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.47-60. www. press.tsu.edu.ge;
სტატია - ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით „სამართლის ჟურნალი" #2, 2021, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021 წელი, გვ. 52-67,www.press.tsu.edu.ge;
Zurab Dzlierishvili Implication of the Principle of Nominalism upon Fulfillment of a Monetary Obligation Journal of Law #1(2020). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.14-28. www. press.tsu.edu.ge;

დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, 2020. LawLibrary.info/ge;
სტატია - „ნომინალიზმის პრინციპის მნიშვნელობა ფულადი ვალდებულების შესრულებისას" „სამართლის ჟურნალი" #1, 2020 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020 წელი, გვ.14-29. www.press.tsu.edu.ge;
დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, 2020. LawLibrary.info/ge;
დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (გაცვლა; ჩუქება; ნარდობა; სამისდღეშიო რჩენა) ელ.წიგნი www.gccc.tsu.ge, 2019 წელი და სხვა.

კანდიდატი ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:
პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლიანობას და გულისხმიერებას. ამდენად, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატს შესწევს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. ახასიათებს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე. კანდიდატი ხასიათდება როგორც ობიექტური, სამართლიანი და დამოუკიდებელი პიროვნება. კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. რეკომენდატორები კანდიდატს დამოუკიდებელ, სამართლიან პიროვნებად ახასიათებენ. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობას კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობას, საკუთარი ემოციების მართვის უნარს, სასამართლოში წარმართული დავებში მონაწილეობას, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

კანდიდატი კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობაში გამოირჩევა თავაზიანობით და კორექტულობით. არის საკმაოდ მშვიდი, თავდაჭერილი და გაწონასწორებული. ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდებისათვის შესაფერისი ქცევა და იმიჯი. სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. სასამართლოში მხარედ არ ყოფილა წარმოდგენილი. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირადი თვისებები სრულად შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი გამოირჩევა დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ისე სტუდენტებსა და იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სასამართლო გადაწყვეტლების/განჩინების ღრმა და საფუძვლიანი დასაბუთების უნარს. კონკრეტული ფაქტი, რაც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ

გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

არ გამოვლენილა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ფინანსური ვალდებულებების მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:
საჯარო მოსმენის ფარგლებში დასმულ საკითხის ირგვლივ კანდიდატმა ისაუბრა საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად, მოიცვა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რაც მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო ნორმების სიღრმისეული ცოდნა. მას აქვს ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ძალიან კარგად იცნობს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კანდიდატმა საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებზე. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განჩინებების გაცნობით, რეკომენდატორთა დახასიათებებითა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებით.

მოპოვებული ინფორმაციის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილებები შეესაბამება - გადაწყვეტილებისათვის დამახასიათებელ დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს. გადაწყვეტილების დასაბუთებულობის თვალსაზრისით, მასში გამოყენებულია როგორც შიდა კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო აქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, სამეცნიერო ლიტერატურა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყადარ დადგენილი პრაქტიკა. კანდიდატი ამჟამად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეა, რომელსაც გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება და ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. ამდენად, მიმაჩნია, რომ სამართლებრივი

დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით.

მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს თანმიმდევრულად, სიღრმისეულად და საკმაოდ ვრცლად. მსჯელობა არის ლოგიკური და არაორაზროვანი. გადაწყვეტილებაში ფაქტობრივი გარეოებები გადმოცემულია სრულყოფილად. ამასთან, დაცულია საპროცესო კოდექსით დადგენილი სტრუქტურა. ამდენად, წერის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით.

საჯარო მოსმენის ფარგლებში კანდიდატი იყო გაწონასწორებული, მშვიდი და თავდაჯერებული. მოსაზრებებს აფიქსირებდა ღიად, ვრცლად და გასაგებად. აზრს გამოხატავდა მკაფიოდ. ამდენად, მიმაჩნია, რომ ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

კანდიდატი არის ძალიან შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი და პუნქტუალური. გააჩნია სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად. არის ობიექტური და მიუკერძოებელი. შესწევს სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. არის მშვიდი და გაწონასწორებული. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა საქმეთა განხილვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი, ასევე ვადის დაცვით გადაწყვეტილებათა მომზადების მაჩვენებელი, რაც მის დაუღალავ შრომაზე მიუთითებს. ამდენად, მიმაჩნია, რომ პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

მასალებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო შეხვედრასა და სემინარში. აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. ყოველივე აღნიშნული, კი მეტყველებს კანდიდატის თვითგანვითარების უნარზე, სიახლეების მიმართ ღიაობასა და ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესზე. აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ამდენად, მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს -5 ქულით.

კანდიდატს გააჩნია მრავალწლიანი პედაგოგიურ საქმიანობის გამოცდილება, სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (თსუ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და ა.შ.), თუ სხვადასხვა უწყების (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ა.შ.) სასწავლო ცენტრებში, ასევე - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. მისი ავტორობით/ თანაავტორობით გამოქვეყნებულია უამრავი სამართლებრივი ნაშრომი (სახელმძღვანელო, სტატია, მონოგრაფია და ა.შ.). კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. ამდენად, მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ ზურაბ ძლიერიშვილს ვაფასებ 94 ქულით.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა ----------

თარიღი: 17.03.2024 წ.